ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

სექტემბერი 2011 N9 (31)

ვარშავის ''აღმოსავლეთ პარტნიორობის'' სამიტის შედეგები

წყარო: www.easternpartnership.org

2011 წლის 29-30 სექტემბერს, პოლონეთის რესპუბლიკაში, ქ. ვარშავაში, გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის'' მეორე სამიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირისა და "აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ქვეყნების პრეზიდენტებმა და მთავრობის მეთაურებმა. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

29 სექტემბერს სამიტის მონაწილეებმა არაფორმალურ ვახშამზე განიხილეს ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის ასპექტები არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში, ასევე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" არსებობის ორი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები. აღნიშნულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი.

30 სექტემბერს გაიმართა ორი პლენარული სესია, რომელზეც სამიტის მონაწილეებმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სხვადასხვა მიმართულებებზე იმსჯელეს. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლისას ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები მიმოიხილა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჰერმან ვან რომპოის, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში ქეთრინ ეშტონს; მიხეილ სააკაშვილმა ორმხრივი შეხვედრები, ასევე, გამართა აზრბაიჯანის, შვედეთის, უნგრეთის, მალტის, ბელგიის, ესტონეთის და ფინეთის პირველ პირებთან.

სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

სამიტის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" პრინციპებისადმი ერთგულების ვალდებულება. ერთობლივი დეკლარაციით სამიტის მონაწილეებმა აღიარეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ზოგიერთი ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი. სამიტმა დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები.

ერთობლივ დეკლარაციაში აღინიშნა საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების წლის ბოლომდე დაწყების შესაძლებლობა. სამიტი მიესალმა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ეფექტურ იმპლემენტაციას.

ვარშავის სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში, 2009 წლის პრაღის სამიტის ერთობლივი დეკლარაციის მსგავსად აღნიშნულია, რომ კონფლიქტები ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია კონფლიქტების დროული მოგვარება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სრული დაცვით. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროკავშირის გაძლიერებულ როლს კონფლიქტების მოგვარების საქმეში, მათ შორის, ხაზგასმით აღინიშნა ადგილზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მნიშვნელობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
www.mfa.gov.ge

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პირველი პლენარული სესია

15 სექტემბერს სტრასბურგში გაიმართა ევრონესტის (აღმოსავლეთის პარტნიორობის) საპარლამენტო ასამბლეის პირველი პლენარული სესია. ერთი დღით ადრე გაიმართა ასამბლეის ოთხი კომიტეტის სხდომა, ეს კომიტეტებია - 1. პოლიტიკურ საკითხთა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, 2. სოციალური, კულტურული და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი, 3. სამართლებრივ საკითხთა და ეკონომიკური ინტეგრაციის კომიტეტი 4. ენერგოუსაფრთხოების კომიტეტი.

საპარლამენტო ასამბლეის პირველი პლენარული სესია ევროპარლამენტის პრეზიდენტის, ბატონი იერჟი ბუზეკის, მიმართვით გაიხსნა. ასამბლეას ბორის ტარასიუკი (უკრაინა) და კრისტიან ვიგენინი (ბულგარეთი, ევროპარლამენტი) თანათავმჯდომარეობდნენ.

ასამბლეის პირველმა სესიამ განიხილა პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებული დავით დარჩიაშვილისა (ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პარლამენტი) და ტრაიან უნგურეანუს (რუმინეთი, ევროპარლამენტარი) თანაავტორობით მომზადებული მოხსენება სახელწოდებით - დიდი მოლოდინები ამბიციური მიღწევებისათვის. აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ევრონესტის პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური პოზიციები აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული განხილვისა და კამათის საგანი გახდა სასესიო სხდომაზე. აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციების განსხვავებული პოზიციების შეჯერებისათვის სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ანგარიშის კომპრომისული ვარიანტი ბიუროს დაემტკიცებინა. ასევე, ბიუროს დასამტკიცებლად გადაეცა ბელარუსის შესახებ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დეკლარაცია, ბატონების იაცეკ სერიუშ ვოლსკისა და დიმიტრუ დიაკოვის ავტორობით.

სომხეთისა და აზერბაიჯანის შეუთანხმებლობის გამო ბიურომ საგანგებო სხდომაზე ვერ მიიღო გადაწყვეტილება მოხსენების დამტკიცების თაობაზე და იგი კვლავ პოლიტიკურ კომიტეტს დაუბრუნდა. ბიურომ, ასევე, არ მიიღო დეკლარაცია ბელარუსის შესახებ.

ცნობილია, რომ ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის მომავალი სესია გაიმართება ქ. ბაქოში, 2012 წლის 2-5 აპრილს.

ევრონესტი წელიწადში სულ ცოტა ერთ პლენარულ სხდომას ჩაატარებს, ხოლო მისი 4 კომიტეტი ორ-ორ სხდომას გამართავს. ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელარუსის და მოლდავეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს. ბელარუსის საკითხი, ჯერჯერობით, ღიად რჩება. ამ ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებმა, განსაკუთრებით 2010 წლის არჩევნების შემდგომმა მოვლენებმა და ევროკავშირის მხრიდან გაკეთებულმა შეფასებებმა, შეაფერხა ბელარუსის მონაწილეობა ასამბლეის დაფუძნებაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

სექტემბრის დაიჯესტი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძისა და საშინაო საქმეთა დარგში ევროკომისრის სესილია მალმსტრომის შეხვედრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ა.წ. 5 სექტემბერს ბრიუსელში შეხვდა ევროკომისარს საშინაო საქმეთა საკითხებში სესილია მალმსტრომს. განხილულ იქნა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმებების განხორციელების მდგომარეობა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, იმსჯელეს სავიზო დიალოგის დაწყების მიზანშეწონილ პერიოდზე.

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი შემდეგი ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის ხელშეკრულების განახლებას ვარაუდობს

ევროზონის ქვეყნების უფრო მეტი ფისკალური ინტეგრაციისათვის ორიოდ წელიწადში ევროპას შესაძლოა მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილელების შეტანა დასჭირდეს. ახალი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება მხოლოდ ევროზონის ქვეყნების გადაწყვეტილებებზე არ უნდა იყოს აგებული და ბრიტანეთი აქტიურად დაიცავს საკუთარ ინტერესებს ყველა ახალ ხელშეკრულებაში – აღნიშნა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ოსბორნმა.
ევროპელმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, კანონით განემტკიცებინათ მაღალი საბიუჯეტო ვალის მქონე ქვეყნებისთვის ევროპის სტაბილურობის მექანიზმის დახმარების პროგრამების გამოყოფა. ოსბორნის აზრით, მოსალოდნელია კანონმდებლობაში სხვა ცვლილებებიც. ასევე, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ფინანსური კრიზისის პირობებში საჭირო გახდება ევროკავშირის ხელშეკურელებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.
ევროკავშირში განიხილავენ საბიუჯეტო დავალიანების მქონე წევრი ქვეყნებისადმი სანქციების გამკაცრების საკითხს, რათა თავიდან აიცილონ სხვა ქვეყნებშიც მსგავსი კრიზისის განვითარება.

იტალია მზად არის ევროს გადასარჩენად სუვერენიტეტი დათმოს

პოლონეთში ევროზონის საკითხებზე შეხვედრის წინ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკო ფრატინის თქმით, ევროპულ ფედერალიზმზე განსხვავებული

წყარო: www.lamaisonnumismatique.com

შეხედულებების მიუხედავად, რომი მზადაა უარი თქვას სუვერენიტეტზე ცენტრალური ევროპული ხელისუფლების შესაქმნელად. ამით მან კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ევროპისთვის სავალუტო კრიზისის განვითარების საშიშროებაზე. ფრატინის აზრით, ევროზონის ფარგლებში რეფორმების გატარებისთვის დიდი გამბედაობაა საჭირო, ვინაიდან ამომრჩევლებისთვის არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ. პოლონეთის ფინანსთა მინისტრის იაჩეკ როსტოვსკის განცხადებით, იტალიაში სავალუტო კრიზისის გაძლიერების შემთხვევაში ევროზონას განადგურება დაემუქრება. მან ევროპელ ლიდერებს მოუწოდა, გადადგან თამამი ნაბიჯები კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად.

გამაფრთხილებელი ეტიკეტები ალკოჰოლის მავნე ზემოქმედების შესახებ

ბრიუსელში შეკრებილი პოლიტიკოსების განსახილველი საკითხი ორსულობის პერიოდში ალკოჰოლის უარყოფითი გავლენა იყო. ახალი ინიციატივის თანახმად, ევროკავშირში ალკოჰოლურ პროდუქციაზე სავალდებულო გამაფრთხილებელი ეტიკეტები დაწესდება.
„ჩვენ გვაქვს ევროკავშირის სტრატეგია ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს, რათა აღიკვეთოს ბავშვების მიერ შინ ალკოჰოლის მოხმარება“, განაცხადა ევროკავშირის კომისარმა ჯანმრთელობის სფეროში ჯონ დალმა. მისი თქმით, საჭიროა ახალი გამაფრთხილებელი ეტიკეტების სისტემის პოპულარიზება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის მთავრობებს ამ ახალი იდეის განსახორციელებლად საკმარისი იურიდიული ძალაუფლება აქვთ. მაგალითად, საფრანგეთში ყველა ალკოჰოლურ პროდუქციას თან ახლავს ამგვარი ეტიკეტი. სხვა ქვეყნებს ჯერჯერობით კონკრეტული ტექსტი და მოთხოვნები არა აქვთ შედგენილი.

დანიამ პირველი ქალი პრემიერი აირჩია

დანიის არჩევნებში გაიმარჯვა ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თაოსნობით, რომლის შედეგადაც ქვეყანას პირველად ქალი პრემიერ-მინისტრი, ჰელლე ტორნინგ-შმიტი, უხელმძღვანელებს.
ახალი ხელისუფლებისთვის უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება იქნება. ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, დანიის წინასაარჩევნო პერიოდი ისეთი მწვავე პრობლემების ფონზე მიმდინარეობდა, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის დაბალი ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და ეროვნული დავალიანების რეკორდული ოდენობა. გამარჯვებული გუნდის ეკონომიკური საარჩევნო პროგრამის თანახმად, უნდა გაიზარდოს სახელმწიფო ხარჯები და გადასახადები მოსახლეობის მდიდარი ფენისათვის, ხოლო ყოველდღიური სამუშაო დრო უნდა

წყარო: www.indiavision.com

გახანგრძლივდეს თორმეტი წუთით, რაც ნიშნავს კვირაში ერთი სამუშაო საათის დამატებას. ტორნინგ-შმიტის საარჩევნო გუნდის აზრით, ეს ნაბიჯი ეკონომიკის სწრაფი ზრდის საწინდარი გახდება.

ევროპის ოკეანეები არნახული სიჩქარით იცვლებიან

კლიმატის ცვლილებისა და ევროპის საზღვაო ეკოსისტემის კვლევის (CLAMER) პროექტის მონაცემების თანახმად, ყინულის დნობამ, ტემპერატურის ზრდამ და ზღვის ფაუნის მიგრაციამ ევროპის ზღვების ცვლილება გამოიწვია.
უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ჩრდილოეთის ზღვის ყინულის საფარის დნობასთან ერთად ევროპის გარემომცველი ზღვის ტემპერატურა მკვეთრად გაიზარდა. ამასთან ერთად, გაძლიერებული ქარის გავლენამ ევროპის ნაპირების 15%-ის ეროზია გამოიწვია. გასულ საუკუნესთან შედარებით, გლობალური დათბობის დონემ ბოლო 25 წელიწადში 10-ჯერ მოიმატა. „თუ ეს ტენდენცია ამავე სცენარით განვითარდა, მაშინ XXI საუკუნის ბოლოს, ბალტიის ზღვის ტემპერატურა 2-დან 4 გრადუსამდე, ჩრდილოერთის ზღვის 1.7 გრადუსით, ხოლო ბისკაის ყურის კი 1.5-დან 5 გრადუსამდე გაიზრდება“, აღნიშნულია მოხსენებაში. ოკეანეში არსებულმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკოსისტემის დარღვევა და ძველი მცენარეული სახეობების ჩანაცვლება ახლად განვითარებული სახეობებით.
პროგნოზის მიხედვით, 2100 წლისთვის ევროპული ზღვის დონეები 60–190

წყარო: www.sciencedaily.com

სანტიმეტრით მოიმატებს. ზღვის დონის ზრდა ემუქრება ევროპის სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას, თუმცა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, ჰოლანდია და დიდი ბრიტანეთი პრევენციული ზომების გასატარებელი საკმარისი რესურსი მოეპოვებათ.

გამოყენებული წყაროები:
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
www.euractiv.com; www.euobserver.com; mfa.gov.ge
www.europeanvoice.com

საინტერესოა:

ეკონომიკური კრიზისის პირობებში კარგი განათლება კიდევ უფრო აქტუალურია

პოსტკრიზისულ ევროპაში აკადემიური ხარისხი და კარგი საშუალო განათლება დასაქმებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) თაოსნობით ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, მსოფლიო კრიზის გამო უმაღლესი განათლების მქონე პირებმა ბევრად ნაკლები ფინანსური დარტყმა განიცადეს. შედარებით მცირე მაღალკვალიფიცირებული ადამიანი უფრო ხშირად რჩება უმუშევარი, ვიდრე სათანადო განათლების მქონე მუშახელი. მოხსენებაში შეტანილია მონაცემები 34 წევრ ქვეყნის შესახებ (მათ შორისაა - ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა, ბრაზილია და ჩინეთი). 2009 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის მხოლოდ 4,4%–ია, ხოლო სასკოლო განათლების არმქონე პირთა შორის – 11.5%. განათლების სფეროში ევროკავშირის კომისრის ანდრულა ვასილიუსის თანახმად, პროექტი ევროპა 2020 ითვალისწინებს ადრეულ ასაკში სკოლის დანებების მსურველთა რიცხვის შემცირებას და უმაღლესი განათლების განვითარებას, ვინაიდან ეს ორი ფაქტორი ხელს შეუწყობს უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობისა და განათლების ხარისხის გაზრდას. „2020 წლისთვის ევროკავშირში სამუშაო ადგილების 35%-ისთვის უპირველესი მოთხოვნა მაღალი დონის კვალიფიკაცია იქნება. ამიტომაც აუცილებელია, ვიზრუნოთ სკოლებსა და უნივერსიტეტებში ინვესტიციერების ზრდაზე. ამჟამინდელ ეკონომიკურ ვითარებაშიც კი განათლება ევროკავშირის ერთ-ერთი უპირველეს პრიორიტეტად უნდა დარჩეს“, განაცხადა ვასილიუმ.

აღნიშნულ ქვეყნებში ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ხელოვნება, სტუდენტებისა და უმაღლესდამთავრებულთა უმრავლესობას მდედრობითი სქესის წარმომადგენელები შეადგენენ, ხოლო სამშენებლო, საინჟინრო და საწარმოო ასპარეზზე უმეტესად მამრობითი სქესის წარმომადგენლები მოღვაწეობენ. მონაცემების თანახმად, სასკოლო განათლების არმქონე 15–დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 50%-ს არ აქვს სამუშაო და უჭირს თავისი თავის დამკვიდრება სამუშაო ბაზარზე.

პედაგოგთა ხელფასები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში საგრძნობლად განსხვავდება. მაგალითად, უნგრეთსა და სლოვაკეთში მასწავლებლების წლიური შემოსავალი 15 000 ამერიკულ დოლარს არ აღემატება, გერმანიაში, ირლანდიასა და ჰოლანდიაში 60 000 დოლარს უტოლდება, ხოლო ლუქსემბურგში კი 100 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მასწავლებელთა ხელფასები საკუთარი განათლების დონის შესაბამისად იზრდება. 15-წლიანი გამოცდილების მქონე მასწავლებლები 30%-ით მეტ ხელფასს იღებენ, ხოლო ლუქსემბურგში ეს განსხვავება 50% აღწევს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
http://www.euractiv.com/innovation-enterprise/crisis-increases-need-good-education-oecd-news-507595

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Dr. Zoltán Horváth, Bálint Ódor
The Union after Lisbon - The Treaty reform of the EU
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd.
ენა: ინგლისური

Roberto Caranta and Anna Gerbrandy
Traditions and Change in European Administrative Law
გამომცემელი: Europa Law Publishing
ენა: ინგლისური

Attila Marjan
The Middle of the Map - Geopolitics of Perceptions
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლია იხილოთ ვებ-გვერდზე :
www.eubookshop.com

ევროსტატისტიკა

მიგრანტების ინტეგრირება ევროკაშირში

ვაგრძელებთ წინა ნომერში დაწყებულ თემას, რომელიც მიგრაციის შესახებ ევროკავშირის სტატისტიკური უწყების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგს ასახავს. ადგილობრივ საზოგადოებაში მიგრანტების ინტეგრირება კვლავ რჩება ევროკავშირის ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემად.

შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ინტეგრირების ხელისშემშლელი მრავალი ფაქტორი, რომლიც როგორც მიგრანტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, აუცილებლად უნდა მოგვარდეს. მიგრანტები აკრიტიკებდნენ ევროკავშირის იმ რთულ ბიუროკრატულ პროცედურებს, რომელთა გავლა უხდებათ ხოლმე და მიაჩნიათ, რომ ამ საკითხის მოგვარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას.

გამოკითხულთა აზრით, ლეგალური სტატუსი ხელს უწყობს წარმატებულ ინტეგრირებას და ამისათვის სულაც არაა აუცილებელი მოქალაქობის მიღება, მით უმეტეს, რომ მიგრანტთა უმრავლესობას უჭირს მშობლიურ მოქალაქეობაზე უარის თქმა, ხოლო ახალი მოქალაქეობის მიღება სულაც არ ფარავს ამ განცდას. რესპოდენტთა უმრავლესობამ მოქალაქეობის მისაღებად საჭირო მოთხოვნებში რამდენიმე ძირითადი პუნქტი დაასახელა, კერძოდ - ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრების მინიმუმ ხუთი წელი, ადგილობრივი ენის ფლობა და კულტურის პატივისცემა, კრიმინალური წარსულის უქონლობა და სხვა.

გამოკითხულთა აზრის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა წარმატებული ინტეგრირებისათვის საჭირო ოთხი ძირითადი სტრატეგია, რომელიც მოიცავს კერძო კომპანიებში, საზოგადოებრივ სექტორში, სკოლებსა და საზოგადოების ცნობიერებაში არსებული ვითარების გაუმჯობესებას. კერძოდ:

ორივე მხარე - ადგილობრივი მოსახელობა და მიგრანტები - ერთხმად აღიარებენ, რომ იმ კომპანიებისათვის, რომლებიც მიგრანტებს დაასაქმებენ, სახელმწიფომ უნდა დააწესოს ფინანსური წახალისების სისტემა. ამასთანავე ითქვა ისიც, რომ ეს სისტემა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ადგილობრივი მუშახელისთვის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ მიგრანტების ინტეგრირებას ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში მათი დასაქმების პროცესის გამარტივება. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პირები კარგად უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას და იცნობდნენ ქვეყნის კულტურას, ვინაიდან მიგრანტთა შორის ასეთი ცოდნის უკმარისობის გამო მათთვის გარკვეული ტიპის სამუშაო ადგილები მიუღწეველი რჩება.

განსხვავებული იყო მხარეთა მიდგომა სკოლებში ინტეგრირების გაუმჯობესების საკითხისადმი. ადგილობრივთა აზრით, უნდა გაიზარდოს კულტურული და სოციალური ინტეგრირების ხელისშემწყობ კლასგარეშე ღონისძიებათა რიცხვი, ხოლო მიგრანტები ყურადღებას ამახვილებდნენ ენის გაძლიერებულ შესწავლაზე. ორივე მხარე ცალსახად აღნიშნავდა სკოლის როლს ახალი თაობის წარმატებული ინტეგრირების საკითხში.

რესპოდენტების აზრით, უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა მიგრანტების ყოფითი მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციის მიწოდებაში მთავარ როლს მასმედია ასრულებს. გამოკითხულები აღნიშნავდნენ, რომ უცხოელებისადმი უარყოფითი სტერეოტიპის ჩამოყალიბება უმეტესწილად არასწორი საინფორმაციო კამპანიის შედეგია და აუცილებელია მოსახლეობას მიუკერძოებელი და რეალისტური სურათი მიეწოდოს მიგრანტების შესახებ.

წყარო:www.westminster.ac.uk

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას – განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიების შესახებ.

სამაგისტრო პროგრამები კურსდამთავრებულთა–თვის

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სტიპენდია საშუალებას აძლევს ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულს,, გაიაროს სამაგისტრო კურსი გერმანიის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში. სტიპენდიის მიღება შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ კონკურსანტი სამაგისტრო კურსის პირველ ან მეორე წელს გერმანიის უნივერსიტეტში გაივლის, ხოლო სამაგისტრო თემას კი საქართველოში დაიცავს. სამაგისტრო კურსი კონკურსანტის არჩევანის მიხედვით შესაძლოა გაგრძელდეს 10 - 24 თვემდე. სტიპენდია თავდაპირველად გაიცემა ერთ სასწავლო წელზე, კარგი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში კი გრძელდება.
კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს და ასევე სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად ბაკალავრიატის მეოთხე კურსზე არიან. უნივერსიტეტის დამთავრებიდან განაცხადის შემოტანამდე არ უნდა იყოს გასული ექვს წელზე მეტი.
კონკურსანტები, რომლებიც განაცხადის შემოტანის პროცესში ერთ წელზე მეტია, რაც გერმანიაში იმყოფებიან, კონკურსში არ დაიშვებიან. უნივერსიტეტში ჩარიცხვის ფურცელს (Zulassung) კონკურსანტი თან ურთავს საბუთებს ან ზრუნავს ამაზე სტიპენდიის მიღების შემდეგ. ჩარიცხვის ფურცლის გარეშე სტიპენდია არ დაინიშნება. ჩარიცხვის ფურცელი წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 2012 წლის ზაფხულისა.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2011 წლის 31 ოქტომბერი (18:00 სთ.).

დიდი ბრიტანეთის ალბიონის კოლეჯი საზაფხულო კურსები გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში სტიპენდიები გაიცემა გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოთავაზებული ენისა და ქვეყანათმცოდნეობითი კურსის გასავლელად. კონკურსანტი თვითონ ირჩევს გერმანიის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ საზაფხულო კურსს.

ხანგრძლივობა:

კურსების ხანგრძლივობა სულ მცირე 3 - 4 კვირას მოიცავს. კურსი გერმანულ ენაზე მიმდინარეობს, როგორც წესი ზაფხულში, არდადეგების პერიოდში.

სტიპენდიის რაოდენობა:
DAAD გასცემს ნაწილობრივ სტიპენდიას 650 ევროს. ამას ემატება კურსის გადასახადი 200 ევრო და გერმანიამდე თვითმფრინავით მგზავრობის ხარჯი - 600 ევრო. ამგვარად, საბოლოოდ სტიპენდია შეადგენს 1450 ევროს. სტიპენდიატი ვალდებულია ჩაეტიოს მოცემულ თანხაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვითონ ფარავს წარმოქმნილ ხარჯებს, თუმცა შეუძლია თვითონ გაანაწილოს სტიპენდიის სახით მიღებული თანხა და 600 ევროს ნაცვლად, ბილეთისათვის 300 ევრო გაიღოს.
სტიპენდიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს, რომელსაც განაცხადის შემოტანის მომენტში დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის მინიმუმ ერთი კურსი და შესაბამისად, ამჟამად იმყოფება მეორე ან მესამე და არადამამთავრებელ (მეოთხე, სამედიცინო მიმართულებისთვის - მე-6) კურსზე. ასევე მაგისტრებს, რომლებიც განაცხადის შემოტანის მომენტში იმყოფებიან პირველ კურსზე.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ასევე უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებს, რომლებიც ასწავლიან გერმანისტიკას, გერმანულს, როგორც უცხო ენას, არ აქვთ ხარისხი დაცული და არ შესრულებიათ 32 წელი.
მაგისტრის ხარისხის მქონე კონკურსანტები და დოქტორანტები კონკურსში არ დაიშვებიან.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2011 წლის 31 ოქტომბერი (18:00 სთ.).

ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტის სრული და ნაწილობრივი სტიპენდიები ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით

ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტი აცხადებს საბუთების მიღებას საერთაშორისო სტუდენტებისათვის ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო კურსისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად.
სტიპენდიის მიღებით დაინტერესებული კანდიდატი არ უნდა იყოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და უნდა ჰქონდეს ოფიციალურ მოწვევა ვესტმინსტერის უნივერსიტეტიდან ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით სამაგისტრო კურსის გასავლელად.
მოცემული სტიპენდიებით გათვალისწინებული სრული თუ ნაწილობრივი ანაზღაურება დამოკიდებული იქნება კანდიდატის აკადემიურ მოსწრებაზე, განვითარების პოტენციალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

განაცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 ნოემბერი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32, 219–220, ტელ.: (832) 229 47 11

euinfocentre@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტში

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად."

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად** საქართველოს რადიოს პირველი არხი

Konrad Adenauer Stiftung

კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

ნომერზე მუშაობდნენ:
ირინე ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი,
თეონა ბორაშვილი, მარიკა კაჭარავა , თამარ ჭელიძე

"ევროპის დროით"
ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ
www.parliament.ge/ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი